ირაკლი თოფურიძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ქალთა მდგომარეობა ერაყში მამლუქთა მმართველობის დროს

რეზიუმე

წინამდებარე სტატიის მიზანია განიხილოს და ნათელი მოჰფინოს ქალთა ცხოვრება-მოღვაწეობას და მათ მდგომარეობას ერაყში მამალუქთა წრიდან გამოსულ მმართველთა ზეობის ხანაში. განხილულია როგორც ე.წ. „დაბალი ფენის“ წარმომადგენელთა ცხოვრება-მოღვაწეობა, ასევე არისტოკრატული ფენის წარმომადგენელი ქალების მიერ გადადგმული ნაბიჯები კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. ჩვენს ხელთ არსებული შესაბამისი წყაროებისა და მასალების სიმწირის გამო აღნიშნული თემატიკის შეწავლას გააჩნია გარკვეული პერსპექტივები დამატებითი მასალების მოძიების შემდეგ. ამავდროულად აქტუალურად მიგვაჩნია ქალთა მდგომარეობის შესწავლა იმ თვალსაზრისით, თუ რა ისტორიული ტრადიცია გააჩნდა ერაყს ქვეყანაში დღევანდელი ქალთა უფლებებისა და მდგომარეობის ფორმირების საქმეში.

საკვანძო სიტყვები: *ქალთა მდგომარეობა, მამლუქები, ერაყი, კულტურულ–საგანმანათლებლო სფერო, ქართველები, ჩრდილოკავკასიელები.*

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქალთა მდგომარეობა ერაყში მამლუქთა მმართველობის დროს (1749–1831 წწ.), მათი როლი საფაშოს ცხოვრებაში როგორც ეკონომიკურ, ასევე კულტურულ–საგანმანათლებლო სფეროში. ბუნებრივია, რომ ერაყელ ქალთა საზოგადოებრივი ცხოვრება განსხვავებული იყო იმისდა შესაბამისად, თუ სად ცხოვრობდნენ ისინი, ქალაქებში, სოფლად, თუ უდაბნოებში და თუ რა სოციალურ საფეხურს განეკუთვნებოდნენ. სოფლად ქალები მამაკაცებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა სახის სამეურნეო მოღვაწეობაში. ძირითადად ეს იყო ხორბლის აღება და მისი გასუფთავება, რძის პროდუქტების წარმოება, შინაური ცხოველების მოვლა, სასოფლო–სამეურნეო მოსავლის აღება და მისი გადამუშავება, მაგალითად ხორბლის დაფქვა, წყლის წისქვილების მოვლა და გამართვა.[1] სოფლად ქალები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულნი მეცხოველეობაში, უვლიდნენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და შინაურ ფრინველებს. ამავდროულად ასრულებდნენ საკმაოდ მძიმე და შრომატევად სამუშაოებს, რაც

[1] Asahel Grant, The Nestorians (London: 1841), p. 210.

გამოიხატებოდა წყლის ზიდვით ჭებიდან და მდინარეებიდან და მის გამოყენებაში სამელიორაციო მიზნებით. ამდაგვარი მძიმე სამუშაო ხშირად იწვევდა უცხოელი მოგზაურების სიბრალულსა და ზოგჯერ აღშფოთებასაც ერაყელი სოფლად მოსახლე ქალების მდგომარეობის მიმართ.[2]

უდაბნოებში მცხოვრები ნახევრად მომთაბარე და მომთაბარე ტომების საქმიანობა ოჯახში მკაცრად იყო განსაზღვრული და გადანაწილებული. ქალები აქაც იღებდნენ მოსავალს, ფქვავდნენ მარცვლეულს, ეზიდებოდნენ წყალს, აცხობდნენ პურს და ამზადებდნენ საკვებს. განსაკუთრებით მძიმე იყო ქალების მდგომარეობა იმ დროს, როდესაც მამაკაცებს თავიანთი ტომის ადგილსამყოფელი დატოვებული ჰქონდათ სხვადასხვა მიზეზების გამო, იქნებოდა ეს გაუთავებელი სამხედრო მოქმედებები, თუ ეკონომიკური საქმიანობა, რაც გულისხმობდა მიღებული მწირი მოსავლით ვაჭრობას ახლო მდებარე ქალაქებში, ან მცირე დასახლებებში. ამ დროს ქალებზე გადადიოდა პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე და გარდა ზემოთ ხსენებული საქმიანობისა და შვილების აღზრდისა, მათ ნადირობა და მეთევზეობაც უწევდათ.

რაც შეეხება ქალაქებს, დაბალი და ზოგან საშუალო ფენის ქალები ძირითადად ქსოვითა და კერვით იყვნენ დაკავებულნი. ხსენებული პერიოდის დიასახლისების ძირითად საქმიანობას ზუსტად საფეიქრო მოღვაწეობა წარმოადგენდა, რისი ტრადიციაც თაობიდან თაობაზე გადადიოდა. აღსანიშნავია, რომ ქ. მოსულის მოსახლეობა, რომლის ეკონომიკა ძირითადად საფეიქრო მრეწველობას ეყრდნობოდა, თვლიდა, რომ კერვისა და ქსოვის უცოდინარი ქალი სათანადოდ ვერ გაუძღვებოდა მასზე დაკისრებულ დიასახლისის ვალდებულებებს და ამ საქმიანობის უცოდინრობა სირცხვილად ითვლებოდა[3]. ერაყში მამალუქთა მმართველობის გვიან პერიოდში, როდესაც საფაშოში გაიმართა მცირე საფეიქრო საამქროები, ქალები აქტიურად მუშაობდნენ ახლადგახსნილ დაზგებთან.[4] ცნობილია, რომ ამდაგვარ საამქროებში მამაკაცები შალის ნართის დამზადებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო ქალები ასრულებდნენ ყველა სხვა ტექნიკურ სამუშაოებს.[5]

რაც შეეხება ერაყული საზოგადოების ქალთა მაღალ, არისტოკრატიულ კლასს, ბუნებრივია, რომ მათ არ სჭირდებოდათ ზემოთმოყვანილ ეკონომიკურ მოღვაწეობაში მონაწილეობა, ისინი ეწეოდნენ არისტოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას: იძენდნენ უამრავ ტანისამოსს, ძვირფასეულობას, ეწეოდნენ თამბაქოს და თრიაქს, მიირთმევდნენ ყავას, მთელ დღეებს ატარებდნენ თავიანთ მსახურ ქალებთან, ან სტუმრობდნენ ებრაული თემის ვაჭარ ქალებს სხვადასხვა ტანსაცმლისა თუ ძვირფასეულობის შეძენის მიზნით. ყოველდღიურად სტუმრობდნენ ერთმანეთს შვილებთან, ახლო ნათესავენთან, მოსამსახურე ქალებთან, ძიძებთან და მამლუქ ქალებთან ერთად. ამ შეკრებებზე მუდმივად იყვნენ მოცეკვავე და მომღერალი ქალები, რომლებიც უხვად საჩუქრდებოდნენ არისტოკრატი ქალბატონების მეუღლეების მხრიდან. მამლუქთა წრიდან გამოსულ ქართული და ჩრდილოკავკასიური ქალების ყოფა არ

[2] Edward Ives, A voyage from England to India (London: 1773), 256.

[3] Imad Abd-asSalam Ra'uf al-'Attar, Al-Hayat al-Ijtima'iya fi al-Iraq Ibana 'Ahd al-Mamaliq, (al-Jami'a al-Kahira, 1976), 393.

[4] Pidro Texeira, The Travels (London: 1902), 83.

[5] James Fraser, Travels in Koordistan, Mesopotamia (London: 1840), 285-286.

განსხვავდებოდა სხვა არისტოკრატი ქალების ცხოვრებისაგან. აქ აღსანიშნავია ერთი ასპექტი: მამლუქ ქალთა გარეგნული სილამაზე და მშვენიერება, რამაც არაბული ენის ერაყულ დიალექტში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. დღემდე ერაყელები ლამაზი ქალის აღწერისას ადარებენ მის მშვენიერებას ქართველი ქალის მშვენიერებას.[6] ამავე დროს უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნიდან მოყოლებული ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ქალების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ბაღდადის ვილაეთში.[7]

აქვე უნდა ითქვას, რომ არისტოკრატული ფენის ქალბატონები მარტო მდიდრული და უზრუნველყოფილი ცხოვრებით არ ტკბებოდნენ. კარგად ცნობილია მათი დიდი ინტერესი და მზრუნველობა სხვადასხვა რელიგიური თუ კულტურული დაწესებულებების აგების და დაარსების საქმეში, იქნებოდა ეს მეჩეთები, სკოლები, თუ ბიბლიოთეკები. უმეტესწილად არისტოკრატი ქალბატონები მთლიანად ფარავდნენ ამ დაწესებულებების აგება–დაარსების ხარჯებს. მაგალითად სულაიმან ფაშა აბუ ლაილას (1748–1761 წწ.), რომელიც ბაღდადის ვილაეთის პირველი მამლუქი მმართველი და ქართული წარმოშობისა იყო, მეუღლემ, ადილა ხათუნმა ჰიჯრით 1163/1750 წელს ბაღდადში ააგო დიდი მეჩეთი, რომელსაც მისივე სახელი ეწოდა.[8] გარდა ამისა მისივე დაფინანსებითა და ინიციატივით ბაღდადში აიგო ალ–ჰანიფას და ალ–შაფიას რელიგიური სკოლები, სადაც მთელი ერაყიდან სამოღვაწეოდ ცნობილი მუფტიები იყვნენ მოწვეულნი. ადილა ხათუნმა დაარსა რამდენიმე სავაჭრო სახლი ბაღდადსა და ერაყის სხვა ქალაქებში, გახსნა შარიათის სასამართლოები და სხვა დაწესებულებები მთელი ვილაეთის მასშტაბით.[9] ადილა ხათუნს არც სხვა მამლუქი გამგებლების მეუღლეებიც ჩამორჩნენ. ქართველი მამლუქის სულაიმან ფაშა ალ–ქაბირის (1780–1802 წწ.) მეუღლემ, ნაბია ხათუნმა და ალი ფაშას (1802–1807 წწ.) მეუღლემ ნაზია ხათუნმა ააგეს მეჩეთები და სკოლები ბაღდადში და ვილაეთის სხვა ქალაქებში. ქართული წარმომავლობის ერაყის მამლუქი გამგებლის სულაიმან ფაშა ას–საღირის (1808–1810 წწ.) მეუღლემ მუნავირა ხათუნმა ბაღდადში ააგო არაერთი მეჩეთი და რელიგიური სკოლა.[10]

მამლუქთა წრიდან გამოსულ ქალთა გარდა მსგავს ღონისძიებებს არისტოკრატული წრის სხვა ქალბატონებიც მიმართავდნენ. მაგალითად, ბაღდადის კომენდანტის ალი ალ–ქაბირ ალ–კადირის ქალიშვილმა ათიქა ხათუნმა ჰიჯრით 1226/1811 წელს საკუთარი ხარჯებით ბაღდადში ააგო დიდი სკოლა, რომელსაც ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა გადასცა. შემდგომი 1812 წელი არისტოკრატი ქალების დიდი აქტიურობით გამოირჩა: ქეთხუდა აბდ ალ–ლატიფის ქალიშვილმა, აიშა ხათუნმა ასევე საკუთარი ხარჯებით ბაღდადში ააშენა სკოლა და სავაჭრო დარბაზი. ქეთხუდა აბდ ალ–ლაჰის ქალიშვილებმა

---

[6] სამწუხაროდ ერაყელთა უმეტესობამ არ იცის, თუ რა ფესვები აქვს გამონათქვამს „ჯამილა მისლ ქურჯიია“ (جميلة مثل كرجية), ანუ, „ლამაზია როგორც ქართველი“.

[7] G.A. Olivier, Voyage dans L'Empire Ottoman, L'Egypt et la Perse (Paris: 1807), Vol. II, 392.

[8] აღნიშნული მეჩეთი დღემდე ფუნქციონირებს, ცნობილია როგორც „ადილიას“, ან „ადილე ხათუნის“ მეჩეთი, განლაგებულია მდ.ტიგროსის მარჯვენა სანაპიროზე ას-სარაფიას რაიონში.

[9] C. Neibuhr, Voyage en Arabie et en d'autres pays circonvoisins (Amsterdam: 1776), vol.II, 215.

[10] Ibrahim al-Drubi, al-Baghdadiun, akhbarahum wa majalisahum (Baghdad: 1958), 302-303, 349-350.

ხადიჯა ხათუნმა და მარიამ ხათუნმა ასევე ააგეს სკოლები ვილაეთის დედაქალაქში.[11]

ქ.მოსულის არისტოკრატული წრეების ქალბატონები ასევე მონაწილეობდნენ ამდაგვარ საქმიანობაში, განსაკუთრებით ეს ეხება ჯალილიანთა გვარის წარმომადგენლებს. ეს გვარი, მცირე გამონაკლისის გარდა თითქმის ასორმოცდაათი წლის განმავლობაში 1726 წლიდან განაგებდა მოსულს. მოსულის გამგებლის ისმაილ ფაშას ქალიშვილმა ქალაქში თავისი სახელობის დიდი მეჩეთი და სკოლა ააშენა. სულაიმან ფაშა ალ-ჯალილის დედამ ჰალიმა ხათუნმა და მეუღლემ ჰამრა ხათუნმა თავისი ხარჯებით ააგეს აზ-ზივანის მეჩეთი და სკოლა ჰიჯრით 1193/1779 წელს. მაჰმუდ ფაშა ალ-ჯალილის დედის აიშა ხათუნის მიერ იმავე მოსულში თავისი სახელობის მეჩეთის აშენება დასრულდა ჰიჯრით 1212/1797 წელს. ჰასან ფაშა ალ-ჯალილის მეუღლის ფირდოუს ხათუნის მიერ ჰიჯრით 1229/1804 წელს ალ-ჰუსეინის სკოლა იქნა გახსნილი[12]. ამდაგვარი მაგალითები არაერთი არსებობს.

ამავდროულად აღსანიშნავია ქალთა ჩართულობა მამლუქთა ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გვაქვს შემთხვევები, როდესაც არისტოკრატული წრის წარმომადგენელი ქალბატონები საფაშოს პოლიტიკურ გეზს განსაზღვრავდნენ. მაგალითად, ჩვენს მიერ უკვე ხსენებული სულაიმან აბუ ლაილას მეუღლე ადილა ხათუნი აქტიურად იყო ჩართული საფაშოს პოლიტიკურ პროცესებში: იგი აკონტროლებდა მამლუქთა ძალებს, მათი ქცევის წესებს, ასაჩუქრებდა წარმატებულებს. მისი ბრძანებით ფაშას სამსახურში მყოფ მაღალი თანამდებობის პირებს შალის ქუდები უნდა ემოსათ, რათა მომხდარიყო მათი გარჩევა უფრო დაბალი თანამდებობის მქონე პირთაგან. ამავდროულად ადილა ხათუნი არ ერიდებოდა ინტრიგების ხლართვას, რათა ჩამოეშორებინა თანამდებობებს მისთვის არასასურველი და დაენიშნა ლოიალური პირი. სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის ვაჟის საიდ ფაშას (1813-1816 წწ.) დედა ნაბი ხათუნი უპირობო ძალაუფლებას ფლობდა საფაშოში. იგი პრაქტიკულად ერთპიროვნულად ნიშნავდა და ათავისუფლებდა თანამდებობიდან სასურველ, თუ არასასურველ თანამშრომელს.[13] მრავალი მკვლევარი, თუ პირველწყაროს ავტორი საიდ ფაშას მმართველობის ტრაგიკული დასასრულის ერთ-ერთ მიზეზად ნაბი ხათუნის სისულელეს და ანჩხლ ხასიათს უკავშირებს.[14]

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ქალები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი მამლუქთა ერაყის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტრადიციული ოჯახური საქმიანობით და მათ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საფაშოს განვითარებაში.

---

[11] al-Drubi, al-Baghdadiun, akhbarahum wa majalisahum, 349-350, 354.

[12] Ra'uf al-'Attar, Al-Hayat al-Ijtima'iya fi al-Iraq Ibana 'Ahd al-Mamaliq, 396.

[13] W. Heude, A Voyage up the Persian Gulf and Overland Journey from India to England in 1817, (London: 1819), 155-156.

[14] Sulaiman Faik Beq, Tarikh mamaliq al-Qulehmend fi al-Baghdad, (Baghdad: 1961), 34.
S.H. Longrigg, Four Centuries of Modern Iraq, (Beirut: Librarie du Liban, 1968) 234.

გამოყენებული ლიტერატურა

1. al-Drubi, Ibrahim. *al-Baghdadiun, akhbarahum wa majalisahum*. Baghdad, 1958.
2. Grant, Asahel. The Nestorians. London, 1841.
3. Heude, W. *A Voyage up the Persian Gulf and Overland Journey from India to England in 1817.* London, 1819.
4. Faik Beq, Sulaiman. *Tarikh mamaliq al-Qulehmend fi al- Baghdad.* Baghdad, 1961.
5. Fraser, James. *Travels in Koordistan, Mesopotamia*. London, 1840.
6. Ives, Edward. *A voyage from England to India.* London, 1773.
7. Longrigg, S.H. *Four Centuries of Modern Iraq.* Beirut: Librarie du Liban, 1968.
8. Olivier, G.A. *Voyage dans L'Empire Ottoman, L'Egypt et la Perse.* Paris, 1807.
9. Neibuhr, C. *Voyage en Arabie et en d'autres pays circonvoisins*. Amsterdam, 1776.
10. Ra'uf al-'Attar, Imad Abd-asSalam. *Al-Hayat al-Ijtima'iya fi al-Iraq Ibana 'Ahd al-Mamaliq*. al-Jami'a al-Kahira, 1976.
11. Texeira, Pidro. *The travels.* London, 1902